კვირა, 7 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პი[illegible]ლი — № 19

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—75 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ღირს 3 მან.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ხელმოუწერელი წ[illegible]ები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერი[illegible]ბს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხ[illegible]ს არ ინახავს. [illegible] მხოლოდ დი[illegible] წერილებს და [illegible]ლობით პასუხისათვის საჭიროა [illegible] სტო მარკები. პირადად [illegible] ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდ-ნ ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლისათვის ტფილისიდან ტფილისს გარე ღირს 1 მან., ხოლო ტფილისს გარეთიდან სხვა რომელიმე ქალქში—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ღირს 5 კაპ.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

**დღევანდელ „ისართან“ ერთად რიგდება განცხადება „რუსეთ ამერიკის რეზინის ნაწარმოებთა ამხანაგობისა“. ვთხოვთ ყველას, უსათუოდ მოსთხოვონ გამყიდველებს ეს განცხადება.**

**კნ. ოლგა თადეოზის ასული ჭავჭავაძისა, ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა და თავ. კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე აფხაზი** აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ქართველ საზოგადოებას, რომ სამშაბათს, 9 ოქტომბერს, ტრაგიკულად დაკარგულ პოეტის

## ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება $9^{1}/_{2}$ საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ. (3—3)

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: **საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სახელმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები** 1905—1907 **წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.**

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ვინც ახლავე დაიკვეთს „დროების კალენდარს, იმას 30% დაკლებით დაეთმობა.

ადრესი: ტფილისი, „იდეალის“ სტამბა **„დროების კალენდრის“** გამომცემელს.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—194)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—27)

ექიმი
**იფ. გომართელი**
შინაგან საქირურგიო სნეულებანი. ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი სახლი თამამშევისა. № 33, (25—526—21)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქ. ქუთაისში
**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**
იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ბიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—4)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—ნ.—17)

**კბილის ექიმი**
**ს. გ. რომანიშვილი**
მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის. მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—16)

**ქუთაისში**
კბილის ექიმი
**ი. დ. ნასარიძე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—27)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი
**ი. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდნევი**—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელი**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. $1^{1}/_{2}$—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ., ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველდღე. 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**აზიზოვი.**—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ღრმ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ბოგუსკი**—შინ. ყოველდღე $11^{1}/_{2}$—1 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, $11^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$
**ინაევი**—ქალთა ავად. დროებით წავიდა.
**რუდნიცკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშტროევა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**გორონცოვისა**—მასსაჟი. ყოვ. დღე 12—4 ს.
**პივარსკი — რუდნიცკი —** | კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—41)

✦ ქ. ქუთაისი ✦
**ქალაქის თეატრი**
«ქართული დრამა» აბონემენტი მესამე. კვირას, 7 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება:

### ხალხი

დრ. 4 მ. პლატონისა თარგ. ვ. შალიკაშვილისა. მონაწილეობენ: ქ-ნნი ივანიძე, დავითაშვილი, ჯავახიშვილი, ქილარჯიშვილი, ურბნელი, ჩიქოვანი; ბ-ნნი ბალანჩივაძე, შალიკაშვილი, ზარდალიშვილი, ჩარკვიანი, მურუსიძე, შოთაძე, სანიკიძე და სხ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ფასები ჩვეულებრივია.
რეჟისორი: **ვ. შალიკაშვილი.** გამგე **ვ. ბალანჩივაძე.**
ადმინისტრატორი **ნ. მარჯანიშვილი.**
**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: «ზღვასთან», «ელიდა», „იმედის დაღუპვა“. (2—ნ.—2)

## სკოლა

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.
ამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121 ეზოში. (12—339—5)

## თავდებ. ზეჭდვით

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა **„ბუნების კარისა“**, ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება. ახალს შინაარსს უჭირავს ას (100) გვერდამდის. დაკაზმით მზად იქნება 15 ღვინობისთვისათვის. (6—343—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს ბავშვებისას და ქალებისას. შეკვეთილს ასრულებენ დროზედ და არა ძვირად. გაბაევის ქუჩა № 3 ვერა. (5—უ.—4)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

**მოითხოვეთ საუკეთესო**

## წისქვ[illegible]ლ[illegible]ს ქვები

ამხ. **„გეორგია“**-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—17)

### ტფილისი, 7 ოქტომბერი.

ეჭვი არაა, რომ ჩვენი შენიშვნები „ქართველ“ ს.-დემოკრატიის პოზიციაზე ეროვნულ საკითხში და მის შეხედულებასა და აზრებზე ამ სფერაში მაგრად მოხვედრია გულში „ჩვენი გზის“ პუბლიცისტებს და ეს ორი კვირაა გულმოდგინედ გვეკამათებიან. მათი უბედურება ისაა მხოლოდ, რომ ამ გულმოდგინეობიდან არა გამოდის-რა. ეს სრულიადაც არაა გასაკვირველი და აი რატომ.

დიდი უსამართლობა იქნება ჩვენის მხრით მთელი ბრალი „ქართველ“ ს.-დებს მოვახვიოთ კისერზე. სისუსტე ეროვნულ საკითხში, ნაციონალურ პრობლემის აბუჩად აგდება ის „პირველშობილი ცოდვაა“, რომელიც თან სდევს ს. დემოკრატიულს მოძღვრებას „დღიდან დაარსებისა ჩვენამდე“, მხოლოდ სულ უკანასკნელ დროში, ულმობელ ცხოვრების ზედგავლენით, დაეტყო ამ მხრით ს.-დემოკრატიულ აზროვნებას ცვლილება და ამის შესაფერისად აქა-იქ სოც.-დემოკრატიული პრაქტიკული მოღვაწეობაც იცვლება... ნაციონალური პრობლემა პროლეტარიატისთვის არ არსებობსო-ამბობს ავტორი კომმუნისტურ მანიფესტისა, რომელიც საფუძვლად დაედო ს.-დ. მთელ მოძღვრებას ეროვნულ საკითხში. „მუშებს სამშობლო არა აქვთ და იმას ვერ წავართმევთ, რაც არა აქვთ“... მით უმეტეს, რომ „ნაციონალური ანტაგონიზმი თან და თან ისპობა ბურჟუაზიის განვითარებასთან ერთად“. ხოლო სავსებით ეს „ანტაგონიზმი მოისპობა მაშინ, როცა პროლეტარიატი გაიმარჯვებს და მოსპობს კლასსურ ანტაგონიზმს“. როგორც ხედავთ, ნაციონალურ პრობლემის არსებობა აქ თითქმის უარყოფილია და თუ ანტაგონიზმი აღიარებულია, მისი მოსპობის ერთად-ერთ გზად სოციალიზმის დამკვიდრებაა მიჩნეული. რომ პროლეტარიატის ბრძოლას აფერხებს ნაციონალურ განხეთქილების არსებობა, რომ ამ განხეთქილების გასანელებლად მაინც სხვა და სხვა ღონისძიებაა საჭირო, ამაზე კომუნისტური მანიფესტი სდუმს. ამის მიხედვით არც „ერფურტის პროგრამაში,“ რომლიდანაც გადმოღებულია თითქმის ყველა ს.-დ. პარტიათა პროგრამები, არ არის ანალიზი ეროვნულ პრობლემისა და არავითარი პრაქტიკული ღონისძიებანი არაა შიგ აღნიშნული ამ სფერაში; არის მხოლოდ გაკვრით ნათქვამი, რომ ს.-დ. ებრძვის „ყოველგვარ ექსპლოატაციასა და დაჩაგვრას, ვის წინააღმდეგაც არ იყოს მიმართული ეს დაჩაგვრა—კლასსისა, პარტიისა, სქესისა და ერის წინააღმდეგ“...

რაღა საკვირველია ამის შემდეგ, თუ ს.-დ. მოძღვრების ჩვენებურ უვიც და გატაცებულ ადეპტებმა თავის მასწავლებელთ გადააჭარბეს და არა თუ სრულიად უარჰყვეს ეროვნულ საკითხის მნიშვნელობა მშრომელ ხალხისთვის, სასაცილოდაც გახადეს ამ საკითხში კვლევაძიება, ხოლო ნაციონალურ პროგრამის მიღება ბურჟუაზიის საქმედ აღიარეს. მათ ერთობ გაამარტივეს მსოფლმხედველობა თავიანთ უცხოელ მოძღვრებისა და ამ გამარტივებულს კონცეპციაში ადგილი აღარ ჰქონდა, არავითარი არსებობის აზრი აღარ ჰქონდა ეროვნულს საკითხს. ეროვნება, როგორც განსაკუთრებული და დამოუკიდებელი კულტურული მცნება, არ არსებობდა მათთვის; ერი, სამშობლო—ეს ბურჟუაზიის იდეოლოგების სატრფიალო საგნებია, რადგან დაჩაგრულ და გაყვლეფილ ხალხს სამშობლო არა აქვს; მათ აზროვნებაში ეროვნება და შოვინიზმი ერთ და იმავე კატეგორიად გადაიქცა, რომელსაც ნამდვილი სოციალისტი უნდა გაურბოდეს, როგორც ჭირს. „ჩვენი გზის“ პუბლიცისტებს ძალიანა სწყინთ, რომ ჩვენ რამდენჯერმე გავიმეორეთ ბ-ნ ყვირილელის ცნობილი ფრაზა: ეს „ამოგლეჯილი ფრაზაა“, რომელიც არაფერს არ ამტკიცებსო; მაგრამ საქმეც ისაა, რომ ბ. ყვირილელმა მკაფიოდ და პირდაპირ გამოსთქვა ის, რაც აუცილებელ დასკვნად გამომდინარეობდა „დასელების“ მთელ „ფილოსოფიიდან“ და ეროვნულ საკითხზე შეხედულებიდან. დღიდან არსებობისა ჩვენი ს.-დემოკრატები გულ-მოდგინედ ებრძოდნენ და გაურბოდნენ ყველაფერს, რაც მათ ეროვნებას მოაგონებდა.

ავიღოთ მაგალითად ეროვნულ პარტიულ ორგანიზაციის დაარსების საქმე, რომელზედაც კამათი ასე გაგვიჭიანურდა ჩვენ და „ჩვენი გზის“ პუბლიცისტებს. ჩვენი ს.-დ. აზროვნება იმდენად დაშინებულია ეროვნების აჩრდილით, რომ ვერ იქმნა და ვერ შევასმინეთ ჩვენს მოკამათეებს, რა გვინდა ვთქვათ, როცა ვამბობთ, რომ ქართველი ს.-დემოკ. არ არსებობს... „ჩვენ თავი მოგვაქვს და ვამაყობთ იმით, რომ სხვა ეროვნების პროლეტარიებთან ერთს ორგანიზაციაში ვმუშაობთ“-ო, გაიძახის „ჩვენი გზა“. გამოდის, თითქო ის ს.-დემოკრატები, რომელნიც ეროვნულ ორგანიზაციაში არიან, თავისი საკუთარი ორგანიზაცია აქვთ, რაღაც სახირცხო საქმეს შვებიან, თითქმის შოვინისტები უნდა იყვნენ. ნამდვილად-კი სულ სხვაა, რასაკვირველია: საკუთარ ეროვნულ პარტიის არსებობა სრულებით არ მოასწავებს სხვა ეროვნების პროლეტარებისაგან განცალკავებას, ინტერნაციონალის პრინციპის დარღვევას; ამავე დროს მაჩვენებელია იმისი, რომ ასეთი ს.-დემოკრატია თავის საკუთარ ნიადაგზე სდგას და საქმით შეუძლია საკუთარ ეროვნულ კულტურის განვითარება, თავის განსაკუთრებულ ეროვნულ ინტერესების დაცვა. სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს პოლონელ, ებრაელ, ლატიშელ და სხვა ერთა ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. ამათ კონკრეტულის შინაარსით შეავსეს ს.-დემოკრატიული უკუდო პროგრამა ეროვნულ საკითხში და თავის ერის ცხოვრების ნიადაგზე დადგნენ, რაც მათ შოვინისტებათ, რასაკვირველია, არ ხდის. „ჩვენს გზას“ ეს ვერ გაუგია და ისევ ლობე-ყურეს ედება: „პოლონელების და ლატიშების ს.-დ. ჩვენს პარტიაში შემოდიან როგორც ტერრიტორიალური და არა როგორც ნაციონალური ორგანიზაციებიო“. საქმე იმაშია, რომ პოლონელთა და ლატიშთათვის ტერრიტორიალური და ეროვნული ერთად თავსდებიან (СОВПАДАЮТЪ) და ამიტომ **პოლონეთის** ს.-დემოკრატია არსებითად იგივეა, რაც **პოლონელთა** ს. დემოკრატია, როგორც გერმანიის ს.-დ. გერმანელთა ს.-დემოკრატია არის, საფრანგეთის—ფრანგთა, იტალიის იტალიელთა და სხვა. შემდეგ, ებრაელთ ტერრიტორია არა აქვთ, მაგრამ მათ მაინც განსაკუთრებული ორგანიზაცია (ბუნდი) აქვთ. ცხადია აქ ტერრიტორია არაფერ შუაშია და საქმე ისაა, რომ თანამედროვე პირობებში ეროვნებას, ეროვნულ პრობლემას ისეთი მნიშვნელობა აქვს, რომ გონიერს ს.-დემოკრატიას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს მას, განსაკუთრებით იმ ერის ს.-დემოკრატიას, რომლის მშრომელი ხალხი ერთსა და იმავე დროს ეკონომიურსა და ეროვნულს შევიწროვებას განიცდის. გარემოება რომ არ ავიწყდებოდეთ ჩვენი გზისტებს, მაშინ თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა რესპუბლიკაზე—ამერიკაზე არ მიგვითითებდნენ და თვალყურს მიაპყრობდნენ, მაგალითად, ავსტრიისა და რუსეთის სახელმწიფოებს, სადაც ერთა ბრძოლა და განხეთქილება ყველა პარტიებს და მათ შორის ს. დ. აიძულებს ეროვნულ პრობლემაზე განსაკუთრებულის ყურადღების მიქცევას. სწორედ აქ, რუსეთსა და ავსტრიაში, აღნიშნულ პირობის გამო, ყველა ერის ს. დემოკრატიულმა პარტიებმა ასე თუ ისე გამოიცვალეს პოზიცია და შეხედულება ეროვნულ საკითხზე; მხოლოდ ჩვენებური ეს-დეკები ფანატიკურის დაჟინებით გაიძახიან, ვითომ ნაციონალურის პროგრამის წამოყენება შოვინისტობა იყოს, ხოლო ეროვნულ ორგანიზაციის შექმნა რაღაც თითქმის სათაკილო რამ და საერთო სოციალისტურ საქმის ღალატი.

და სანამ ამას ვერ გაიგებენ ჩვენი ს.-დ., ჩვენ სრული ნება გვექნება უნიადაგო და უშინაარსო კოსმოპოლიტობა ვუკიჟინოთ, ხოლო თუ არჩევნები მოგვიხდა მათ წარმომადგენლისა და უბრალო პროგრესისტის შორის და ეროვნულ ნიადაგზე მდგომი სოციალისტი იმ ხანად ასარჩევი არ გვეყოლა, ჩვენ მაინცა და მაინც უბრალო პროგრესისტის არჩევას ვამჯობინებთ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურს პირობებში. „ჩვენ გზას“ ეს გარემოება „ბურჟუაზიულ ფიზიონომიის“ გამოჩენად მიაჩნია, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ახლანდელს პირობებში ბურჟუაზიულს ფიზიონომიას უფრო ის იჩენს, ვინც საპარლამენტო მოღვაწეობას შესაძლებლად სცნობს და ვისაც დღეს ირჩევენ სათათბიროში,—დღეს, როცა 3 ივნისის კანონმა „130 მილიონიდან 130 ათას თავად-აზნაურსა და კაპიტალისტს მიანიჭა საარჩევნო უფლების უპირატესობა“.

## ახალი ამბავი

✦ **ოსების სექციის განცხადება.** ოსების სექცია სახალხო უნივერსიტეტისა გვთხოვს დავბეჭდოთ: რადგან ამ სექციის სკოლის მოსწავლეებად უმთავრესად მოსამსახურეები არიან, რომელთაც კვირაობით არ ანთავისუფლებენ, ამიტომ სექცია სთხოვს ყველას, ვისაც ასეთი მოსამსახურენი ჰყავს, გაანთავისუფლონ ხოლმე კვირა საღამოობით სკოლაში სასიარულოდ.

✦ **იარაღის გაგზავნა.** ამ დღეებში რუსეთიდან ბაქოში ჩაუტანიათ აუარებელი პატრონი და იარაღი, რომელსაც სპარსეთში გზავნიან.

✦ **ახალი საბჭო.** ტფილისის საბჭოს ახალ ხმოსნების პირველი სხდომა დაინიშნა ხუთშაბათს, 11 სექტემბერს. ხმოსნები ფიცის მიღების შემდეგ განიხილავენ საკითხს შესახებ ქალაქის მოურავისა და მდივნის არჩევნისა და აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელ კომისიების შედგენისა.

✦ **სამხედრო ბეგარა.** წელს ქ. ტფილისიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად ქალაქის სამხედრო საქმეთა საკრებულოსაგან გაწვეულია სულ 762 კაცი. აქედან პირველ ხარისხის შეღავათის მქონე ყმაწვილ კაცთა გარდა კენჭს ამოიღებენ დანარჩენნი და მათგან 241 კაცი ნამდვილ სამსახურში ჩაირიცხება.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო წესების მოხსნამდე ორენბურგის გუბერნიაში იგზავნებიან დუშეთის მაზრელნი გაბო პილპილაშვილი და ეფრემ მგელაშვილი (იგივე გაუცილაშვილი). ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა ა. ოჰანეზოვს, გ. ჰაიკაზოვს, ი. მერაბოვს და ვლადიმერ მურღულძეს.

✦ **ყუმბარები.** „გოლოს კავკაზა“-ს ბათუმიდან დეპეშითატყობინებენ: „ტფილისის საკომერციო ბანკის ბათუმის განყოფილებაში აღმოაჩინეს მრავალი ასაფეთქებელი ნივთიერება და ყუმბარების ქარხანა. ხმა დადიოდა, ბანკის ასაფეთქებლად ემზადებიანო. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს“.

✦ **ციხის ზედამხედველის მოკვლა.** 5 ღვინობისთვეს თავის ბინის კარებთან სამჯერ ესროლეს რევოლვერი და მოჰკლეს გორის საპყრობილის ზედამხედველი დავიდენკო. მსროლელნი მიიმალნენ.

✦ **უმიზეზო სროლა.** 4 სექტემბერს ვერაზედ თოლა ურიის ბაღში მოხელე ვ. პილეცკი ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის 3 მასწავლებელთან ერთად ღვინის სმაში დროს ატარებდა. პილეცკი ისე ძალზე დამთვრალა, რომ ჯიბიდან რევოლვერი ამოუღია და 27-ჯერ გაუსროლია, თუმცა ვნება არავისათვის მიუყენებია. იარაღის ტარების ნება ჰქონია პილეცკის და ამიტომ იგი არ დააპატიმრეს.

✦ **დაჭრილი.** 4 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ არსენალის ქუჩაზედ პოლიციელებმა ნახეს უგრძნობლად დაგდებული უცნობი კაცი, რომელიც ვიღაცას დაეჭრა მუცელსა და მარჯვენა გვერდში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ნოქართა კრება.** დღეს, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრთა. კრებას, წარსულ წლის ანგარიშის გარდა, განსახილველი აქვს მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლა-შევსების შესახებ.

✦ **არჩევანი.** რუს ამომრჩეველთა კურიის არჩევნები დღეს, 7 ოქტომბერს, დაიწყება დილის 9 საათზედ და გაგრძელდება საღამოს 9 საათამდე. როგორც შევიტყეთ, ყველა პარტიები დამოუკიდებლად გამოდიან თავიანთ კანდიდატების გასაყვანად.

✦ **თავდასხმა და გაცარცვა.** გუშინ, 6 ოქტომბერს სომხის ბაზარში დილის 10 საათზედ არუთინოვის ოქრო ვერცხლეულობის მაღაზიაში შეცვივდნენ შეიარაღებული უცნობები და მოკვლის მუქარით მოსთხოვეს არუთინოვს ფული. უცნობებმა კასიდან ამოიღეს ფული, მოხვეტეს რაც მოასწრეს ძვირფასი ნივთები, სულ 3000 მან. ღირებულობისა და ისე მსწრაფლ მიიმალნენ, რომ მათ კვალსაც კი ვერ მიაგნო პოლიციამ. ავაზაკების აღმოსაჩენად პოლიცია გამოძიებას შეუდგა.

✦ თელავის მაზრის სოფელ ახმეტის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ და უთხოვნიათ, მიეცეთ იჯარით თავისუფალი სახელმწიფო სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები.

✦ 5 ოქტომბერს პოლიციის მე-5 უბანში დესიმონოვის მოედანზე ტფილისის მოქალაქე სტეფანე სადგაროვს ჩხუბი მოუვიდა დედით ძმასთან არტემ არუთინოვთან. სადგაროვმა ძმა არ დაინდო და ბებუთით დასჭრა გვერდში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. სადგაროვი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

✦ 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ ემმიაძინისა და სურბ-მინასის ქუჩების შესართავთან ოგანეზ დანიელიანცი შეხვედრია თავის ნაცნობს არშაკს (გვარი არ იციან) და უსაყვედურნია, რატომ არ დასცხრები და ხალხის ძარცვას თავს არ დაანებებო. არშაკს ამაზე გული მოსვლია, უძგრია რევოლვერი და დაუჭრია დანიელიანცი.

✦ ბორჩალოს მაზრის ჩოჩკანის, დამბალოს, ურუტის და მუღანლოს სოფლების საზოგადოებებმა შუამდგომლობა აღძრეს, სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ თესლის სასყიდლად.

✦ გორის მაზრის ორტევის საზოგადოების გლეხობა, როგორც აცხადებენ განაჩენში, დაზარალებულან მოუსავლობით და ითხოვენ ეხლა ხაზინიდან რაიმე შემწეობის აღმოჩენას.

✦ თიანეთის მაზრის მოფელ ჯოკოლის გლეხებს უთხოვნიათ მთავრობისათვის შემწეობა. ამ სოფელში მოუსავლობა ყოფილა.

# პრესსა

—:—

მენშიკოვი ოცი წლის წინად იყო ფინლიანდიაში. ეხლა მეორედ წასულა და გაოცებულა. ჰელსინგფორსი ორჯერ გადიდებულა

პეტერბურგელი რომ ჰელსინგფორსში მოხვდება, ისეა გაკვირვებული და გაოცებული, როგორც სოფლელი გლეხი დედა ქალაქში. პეტერბურგში არ მოიპოვება ასეთი ბრწყინვალება, სიწმინდე, უშველებელი სახლები. ხალხიც სხვანაირია. ყველა სუფთად და ევროპიულად არის ჩაცმული. ეტყობა, ყველას შეუთვისებია ევროპიული ცხოვრება და ზნე-ჩვეულება.

მთელ რუსეთში ფინლანდია ყველაზე სწრაფად მიილტვის ბრწყინვალე მომავლისაკენ. ჯერ მეოცე საუკუნეში ძლივს შესდგა ფეხი და ეხლავე მეოცდა ერთეს ეპოტინება. მენშიკოვი აღტაცებულია ფინლიანდიის კულტურითა და სიმდიდრით, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, რუსის ხალხის მიერ არის შექმნილი. მაგრამ ჯერ ყური დავუგდოთ და მოვისმინოთ ფინლიანდელების აზრი რუსებზე.

ეხლა რუსეთს ფინლიანდიაში ისე აქვს გატეხილი სახელი, როგორც პოლონეთში—უფრო მეტადაც. რუსული ენა სძულთ, იგი არ ესმით არც ფოსტაში, სადგურზე, სასტუმროებში და ყველგან. ყველას ისე უჭირავს თავი, თითქო რუსული არ ესმითო. ასეთი სიძულვილი რუსეთისა არ ეპატიება პაწაწა ერს, რადგან იგი რუსეთის მეოხებით არსებობს. სიძულვილის მაგივრად ფინლიანდელები დიდი მადლობელი უნდა იყვნენ რუსეთისა, მაგრამ ეს გრძნობა კეთილშობილ ერის საკუთრებაა, ფინლიანდელებს კი ეს თვისება არ აქვთ, ფინლიანდია რუსეთმა შექმნა და რუსის ხალხის გულკეთილობის მეოხებით და ხარჯით სცხოვრობს. მართალია, რუსის ხალხის გულკეთილობა ნიშნავს მის სისულელეს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

ფინლიანდია რუსეთმა დაიმორჩილა, მაშასადამე იგი რუსეთის მონა უნდა იყვესო; რუსები ხშირად მიდიან ფინლიანდიაში და იქ ფულს ხარჯავენ, მაშასადამე ფინლიანდელები რუსების ხარჯით ცხოვრობენ, თორემ თვითონ არც ჭკუა შესწევთ, არც შრომა, არც უნარი და არც ნიჭიო. მერე რა უმადურნი ყოფილან ფინლიანდელები! მადლობის მაგივრად

თავგასული ერი ჩვენვე გვლანძღავს; ბარბაროსებსა და მტარვალებს გვიწოდებს. მართლა რომ ღირსი ვყოფილვართ ასეთი სახელისა. ჩვენ ბარბაროსულად გავქურდეთ ჩვენი ერი და ფინლიანდიის საფრთხის მოსპობის მაგივრად ჩვენ თვითონ დავუყენეთ მტერი ჩვენს დედა ქალაქს ზურგის უკან.

მაგრამ მენშიკოვს მეორე საფრთხეც აშინებს:

ეროვნულ მოძრაობაზე სწრაფად იზრდება სოციალიზმი, რომელიც სეიმში ორ მეხუთედს შეადგენს. თუ როგორ გაკადნიერდნენ ფინლიანდელები, ეს შემდეგიდან სჩანს: სეიმში ლაპარაკი იყო ხელმწიფის შეურაცხყოფის შესახებ. სოციალისტები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ხელმწიფე ფინლიანდიის დიდ მთავრად ითვლება, ამიტომ მას უფლება არა აქვთ ატაროს „უდიდებულესობის“ წოდება, მაშასადამე არ შეიძლება „უდიდებულესობის“ შეურაცხყოფისთვის ვისიმე დასჯაო.

დასასრულ მენშიკოვი გვპირდება, შემდეგ წერილს იქაურ ანარქიზმის შესახებ დაგიწერთო.

## წერილი ყაზანიდან

რა გზას დაადგა სტუდენტობა.—ავტონომიის გაქარწყლება.—სტუდენტობის ორგანიზაციების აღკრძალვა.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პრესაში უნივერსიტეტების თავისუფლების შეზღუდვამ. ბევრი ამბობდა მაშინ, რომ სტუდენტობა არას გზით არ მოითმენს ამას და რევოლიუციონურს საშუალებას მიმართავსო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მთავრობამ ერთის კალმის მოსმით გააქარწყლა ყოველივე ის, რაც უნივერსიტეტებს ხანგრძლივის ბრძოლით ჰქონდათ მოპოვებული. ბნელის ძალებით ზურგ გამაგრებული ბიუროკრატია სტუდენტებს უცქერის ეხლა ისე, როგორც საშუალო და დაბალ სასწავლებლის ბავშვებს. დიაღ, მთავრობა ასე მოქმედებს, მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარა გახდა, რომ სტუდენტობამ დაჰკარგა ის რევოლიუციონური აღფრთოვანება, რომლითაც იგი წინა წლებში იყო გამსჭვალული. აღარ ისმის მქუხარე სიტყვები, აღარ ეჩხნევათ სტუდენტებს ის თავგანწირვა, რომელსაც წინად ვხედავდით, აღარ არის საერთო კრებები, რომელსაც მრავლად ესწრებოდნენ მუშები და გლეხები. სტუდენტობა ეხლა უბრალო პროტესტსაც აღარ აცხადებს. სულ სხვა იყო შარშან. კრებაზე დასწრებისთვის ამსხვრევდნენ უნივერსიტეტში შემოსასვლელ კარებს და, რა თქმა უნდა, ადმინისტრაცია იძულებული ხდებოდა დაეთმო სტუდენტობისათვის.

დღეს მთელი სტუდენტობა საშინელის ინდიფერენტიზმით არის გარემოცული. ამას წინად მომხდარი სტუდენტების საერთო კრება ნათლად გვიმტკიცებს, რომ სტუდენტობა დაადგა კომპრომისის გზას. ყველას ეჩხნეოდა რაღაც უიმედობა და გულგრილობა. რა თქმა უნდა, ეს არ ითქმის მთელ სტუდენტობის შესახებ. არიან გატაცებულნიც, მაგრამ მათი რიცხვი ძლიერ მცირეა. კრებაზე გამოირკვა, რომ სტუდენტობას სურს სწავლის დაწყება. ბევრი კამათის შემდეგ—ყველაზე მეტს ლაპარაკობდნენ კადეტები, რომელნიც წინად ხმასაც არ იღებდნენ—მიღებულ იქმნა ეს-ერების შემდეგი რეზოლიუცია: „ვხსნით რა უნივერსიტეტს სამეცადინოდ, ჩვენ ვეცდებით გამოვიყენოთ უნივერსიტეტის კედლები კულტურულ რევოლიუციონურ მოღვაწეობისათვის“.

შესაძლებელია დღევანდელ პირობებში უნივერსიტეტის კედლების რევოლიუციონერთა მიზნისათვის გამოყენება? საეჭვოა. დღეს ხომ სტუდენტობის ნებებაც აღარ არის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის კედლებზედ გამოკრულია საერო განათლების მინისტრის განკარგულება, რომლის ძალითაც უნივერსიტეტში აღკრძალულია ყოველ გვარი კრება მთავრობის აგენტის დაუსწრებლად. არა თუ რევოლიუციონურ პარტიის წევრებს გაუძნელდებათ შეკრება და მოქმედება, არამედ იმ წრეებსაც კი (землячества), რომელთაც საგნად აქვთ მხოლოდ ურთიერთის ნივთიერი დახმარება. ყოველივე ორგანიზაცია, აგებული პოლიტიკურ სარჩულზედ, სასტიკად აღკრძალულია. ყოველივე თავისუფლება, რომლითაც ვსარგებლობდით წინად, მოისპო. აღარ არსებობს დღეს სტუდენტთა ცენტრალური ორგანო „სტუდენტთა საბჭო“, აღარა გვაქვს უფლება მივიღოთ მონაწილეობა პროფესორების კომისიაში სასწავლო ფულიდან განთავისუფლების და სტიპენდიების განაწილების დროს. დღეს სასწავლო ფულიდან განთავისუფლებისთვის საჭირო გახდა პოლიციის და ჟანდარმერიის მოწმობა!

ასეთმა სასტიკმა წესებმა, რა თქმა უნდა, სტუდენტობა დააძმარა. მან თავიანთის წარმომადგენლების პირით რექტორს წინადადება მისცა: ჩვენ არას გზით არ დავთმობთ იმ უფლებებს, ეკონომიურ მხარეში მაინც, რომლებითაც გასულ წელში ვსარგებლობდით; სწავლის ფულიდან განთავისუფლების და სტიპენდიების განაწილების დროს უსათუოდ უნდა იხელმძღვანელოთ სტუდენტების ორგანიზაციების მიერ წარმომადგენელ ცნობებითაო. რექტორმა მაშინათვე სამინისტროზედ მიგვითითა: მე პირადად, ბრძანა მან, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს; მე დღესვე აღვძრავ შუამდგომლობას, სადაც ჯერ არს, და თუ ნებას დაგვრთავენ, ჩემთვის ძლიერ სასიამოვნო იქნება. მაგრამ თქვენ ადგილობრივ ადმინისტრაციიდან მოწმობები მაინც უნდა წარმოადგინოთო. ასეთის პასუხით გამოგვისტუმრეს. **ილიკო გმელ მინდორელი.**

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**ქ. თელავი.** ეს სამ კვირაზე მეტი იქნება, თელავი საშინელ უპურობას განიცდის. ტფილისიდან ფქვილი აღარ შემოდის, ადგილობრივ მხოლოდ შავი ფქვილი იშოვება და მეპურეებიც ისეთ შავ პურს აცხობენ და

# ფელეტონი

## სიკვდილი

ოქტავ მირბოსი.

მოხუცი პუავრე თავის სიძის პიერ გასელენის საყასბოსთან შეჩერდა, ხვნეშით ჩამოხტა პატარა ურმიდან, ცხენი ბოძში შერჭობილ რკინის რგოლზე მიაბა, შოლტის ქნევით დუქანში შევიდა და დაიყვირა:

— ეჰეი, ვინა ხართ შინა!

დუქანში არავინ არ იყო. მხოლოდ დირესთან მწოლარე ძაღლი ღრენით წამოდგა და მოშორებით კუთხეში მიწვა. ხუთშაბათი იყო. მეორე დღეს ბაზარი უნდა ყოფილიყო. მყიდველებს არ ელოდნენ და დუქანი ცარიელი იყო. მხოლოდ მსხვილ მორგვზე, სადაც ხორცს სჭრიდნენ ხოლმე, გაშავებული ხარის ბარკალი იდო, რომელსაც აუარებელი ბუზი შემოპხვევოდა, და ჭერშიც ხბოს გულის ნაჭერი ეკიდა. კუთხეში იდგა სპილენძის დიდი ტაშტი. შიგ ეყარა აყროლებული ძვლები და ქონის ნაჭრები. მთელ დუქანშიაც ისეთი მყრალი ლეშის სუსი იდგა, როგორიც საავადმყოფოებში ხოლმე.

— არავინ არის?—გაიმეორა პუავრემ.

—გასელენ, სადა ხარ?

გასელენი გამოვიდა მეორე დუქნიდან, რომელიც იმის დუქნის პირდაპირ იდგა, გამალებული სწევდა ჩამქრალ ჩიბუხს და ყვიროდა:

— აქა ვარ, აქა!

მზე მხიარულად ბრწყინავდა იმის გაწითლებულ და მსუქან პირისახეზე. გასელენი ქუდ-მოხვლეპილი იყო და სახელოები ნიდაყვამდე ჰქონდა შეკეცილი. თეთრი, ზოგან სისხლით მოსვრილი წინსაფარი მთლად ფარავდა მის მსუქან ტანს. ყელზე ცისფერი ბაღდადი ეხვია, ტიტველა ფეხებზე ხის ფეხსაცმელი ეცვა. მარცხენა თეძოზე ეკიდა ფოლადის ძეწკვზე მიბმული დიდი დანა.

გასელენი სიმამრთან მივიდა და ხელი გაუშვირა.

— რას იტყვი, საქმე როგორ მიდის?

— ისე, არა უშავს რა.

— ცხენს ვაჭამო რამე?

— არ უნდა. მე თვითონ ვაჭამე. შასანის ბაზარში ვიყავი.

— კარგი ბაზარი იყო?

პუავრემ თავი გაიქნია და გულგრილად მიუგო:

— ასე, არც კარგი, არც ცუდი. ფასებს არა უჭირს რა.

უცებ კილო გამოიცვალა და დაუმატა:

— როგორ მოხდა ეგ ამბავი? გზაში პატარა ავგუსტმა მიამბო შენი უბედურება.

— ჰო... აგრეა.

— ამიტომ ცხენი არც კი გამოვუშვი, მივეცი სამი მუჯა ქერი და პირდაპირ აქეთ გამოვწიე...

— ვითომ არა სჯობია, რომ ჯერ ყელი დავისველოთ?—ურჩია სიმამრს გასელენმა.

— უარს არ გეტყვი, ჩემო კარგო. ისე გამიხურდა ყანყრატო, რომ ლამის დავიხრჩო. მაშ ეს ამბავი მართალია? არ მომატყუეს? ცოლი მოგიკვდა?

ყასაბმა ჩიბუხი ხის ჩუსტზე დაირტყა და მიუგო:

— ჰო, მართალია. წუხელი ორ საათზე მოკვდა. იქნება სამის ნახევარიც იყო, ან ცოტა მეტი.

— წუხელის? — გაიმეორა პუავრემ და თავი გააქნია.—ერთი დახე, მერე რა დაემართა? სისხლი აუვარდა თავში, თუ...

გასელენმა უამბო იმ ღამის ამბავი.

— არა, სიმამრო, სისხლი არ ავარდნია თავში. ეგ შეუძლებელია. მუცელმა უყო. ძალიან გაებერა მუცელი. ისე ყვიროდა, რომ... ღმერთო, რა საშინლად ყვიროდა. მერე მოკვდა. იცი, თავიდან არ მშორდება, რომ...

— რა არ გშორდება შვილო?

— აი როგორ იყო საქმე: ორი კვირის წინად, მგონი 12 დღის წინად, ან იქნება მას აქეთ ორი კვირაც გავიდა, მე და ის რაღაცაზე ვლაპარაკობდით. მგონი, ღორი და ლოთი დამიძახა, ბაკუსა და მანეს რაზე წაეჩხუბეო. ვეუბნევი: „თავი დამანებე მეთქი“. ისა უთხარი, მეგობრულად, ბრაზი არ მომსვლია. ის კი თანდათან უმატებს და უმატებს, მლანძღა და მლანძღა. მეც ავიღე და მუცელში წიხლი ვკარი. ხომ იცი, ხუმრობით ვკარი, ტკენა არ მინდოდა; არც ცემა. მერე შევრიგდით კიდევაც. მეორე დღეს მუცელი აიტკია: ისე მეწვის, თითქო შიგ დიდი ძაღლი იწვეს და მკბენდესო. არ დაწვა, სულ დადიოდა და მუშტარს ხორცს უწონიდა. გუშინ წინ ავადმყოფობა ძალიან დაერია. მუცელი გაუსივდა, კვნესოდა და აკი მოკვდა. აი გამიხმეს ეს ფეხი! რას მოვიფიქრებდი, რომ ი დედაკაცი ერთი ბეწო წიხლისგან მოკვდებოდა.

პუავრე კისერს იფხანდა და იმეორებდა;

— ერთი დახე! დახე ერთი-ი!

ბოლოს სევდიანად წარმოსთქვა:

— აი რა ყოფილა ადამიანის ცხოვრება! ჩემს დედაკაცსაც ეგრე არ მოუვიდა. ისიც ეგრე უცაბედად მომიკვდა: ხე დაეცა, აი ის წყეული კაკლის ხე, ჩემს ეზოში რომ სდგას.

— ვიცი, ვიცი,—ამოიოხრა გასელენმა.—წამო, ნახე შენი ქალი. ზევითა წევს.

— კარგი, შვილო, წამო ვნახოთ. ჩამობნელებულ კიბეზე ავიდნენ და ნახევრად ღია კარებთან გაჩერდნენ.

— ჯერ შენ შედი,—უთხრა სიმამრმა.

— არა, მამა, შენ შედი.

— არა, შვილო, შენ შედი.

ორივენი ფეხ-აკრებით შევიდნენ ოთახში. პუავრემ ქუდი მოიხადა და ხელში დაიჭირა. პატარა თვალები გაუდიდდა, მაგრა მოკუმულ ტუჩების გარშემო შემოეხაზა ორი ღრმა ნაოჭი, რომელმაც მის სახეს შიშისა, ზიზღისა და იდუმალ თრთოლვის გამომეტყველება დაამჩნია. ლოგინზე იწვა მკვდარი დედაკაცი. პირისახე ტკივილისგან დამახინჯებული და დაღრეჯილი ჰქონდა. ზედ შავი ღრუბლის ფერი ედო.

მოსულ ტანზე ტილოს სავანე ჰქონდა გადაფარებული. ცხედარს ხელში ჯვარცმა ეჭირა. იქვე ვიღაც ბებერი დედაკაცი ლოცვებს კითხულობდა. თავთან ორი წმინდა სანთელი ენთო. იქვე მეორე დიდი ჯვარცმა ესვენა.

პუავრემ პირჯვარი გადაიწერა და ცხედარს მიუახლოვდა. ორიოდე წუთის განმავლობაში თავის ქალის პირისახეს დასცქეროდა. მერე თავის თავს ძალა დაატანა და საკოცნელად დაიხარა, მაგრამ უცებ შეეშინდა და ისევ გასწორდა. ბოლოს ცხედრის ცივ ხელს თავის დიდი ხელი დაადო, მაგრამ ისე უცებ აიტაცა უკანვე, თითქო დაეწვაო. მერე ისევ დაუბრუნდა თავის სიძეს, რომელიც კარებთან იცდიდა, და ჩურჩულით უთხრა:

— ჰო, მომკვდარა. მერე რა ცივია, ღმერთო ჩემო, რა ცივია!

გულშეხუთულნი ქვევით დაბრუნდნენ. მათი გრძნობა შებოჭვილი იყო სიკვდილის დიდებულ საიდუმლოებით, რომელიც მათ არ ესმოდათ და ვერც მისი წინააღმდეგობა გაებედათ.

— ღმერთო ჩემო, როგორ გაცივებულა!—იმეორებდა პუავრე.

— მერე როგორ გაყვითლებულა, და!—იმავე კილოთი უპასუხებდა გასელენი.

დუქანში რომ ჩავიდნენ, ერთმანეთს შეხედეს.

— გულის გასამაგრებლად რომ ცოტა გადავყლაპოთ, არ ემჯობინება?—ჰკითხა გასელენმა.

მოხუცს გაუხარდა.

— კეთილი... დავლიოთ... ერთი უყურე: ხუთი დღის წინად ყველაზე ყოჩაღი და მხიარული იყო. ეხლა კი... ერთი დახე, და!

ქუჩა დინჯად და წყნარად გადაიარეს. პუავრე განუწყვეტლივ ბუტბუტებდა:

„როგორ გაცივებულა!“ გესელენი იმეორებდა:

„როგორ გაყვითლებულა!“

ერთი ბოთლი ღვინო მოითხოვეს და კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ. ბოლოს პუავრემ მაღლა ასწია ბოთლი და ღვინო დაასხა.

— შენი სადღეგრძელო იყოს!

— შენი სადღეგრძელო იყოს!—მიუგო გასელენმა,

დიდხანს ლაპარაკობდნენ ხორცის ფასზე, საქონლის საკვებზე და შასანის ბაზარზე. პუავრე ჩიოდა, ბოჩოლების ფასი წინანდელთან შედარებით ძალიან დაეცაო,

— ამერიკელები და ესპანელები ჩვენგან რომ არ ყიდულობდნენ, მთლად დავიღუპებოდით.

მეორე ბოთლიც გამოსცალეს და შექეიფიანდნენ. პუავრე ისევ „საქმეს“ დაუბრუნდა.

— მაგას არა უშავს რა, შვილო, შენ ის მითხარი, როდის უნდა დამარხოთ?

მასთან უვარგისს, მოუზელავს და გამოუშრობელს, რომ მისი ჭამა არა თუ საძნელოა, არამედ შეუძლებელიც და, ვინ იცის, იქნება მავნებელიც. ამას გარდა დააძვირეს კიდეც, მაგრამ საქმე ის არის, რომ არ იშოვება, თორემ ისე მობეზრდა ხალხი უვარგის პურს, რომ მზადაა მეტი მისცეს, ოღონდ კარგი იყოს.

უბრალო სოფელი არ იქნება ისეთ პირობებში, როგორშიაც თელავია. პურის გარდა, ნავთიც შემოელიათ ბაზარში. გირვანქაში რომ ერთი მანეთი მიგეცათ, ვერ იშოვიდით მთელ თელავში. ბევრს უსანთოდ მოუხდა დამ ღამობით ყოფნა. შინ კიდევ არაფერი, ძალას მაინც არავინ დაატანდათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ საავადმყოფო დადგენილებით ქუჩებსაც ანთებენ სახლის პატრონები და ეს უფრო ეწუხებოდათ—არ დაგვაჯარიმონო.

პურთან და ნავთთან ერთად ეს სამი კვირაა აღარც შაქა შემოდის თელავში გასასყიდად, აღარც ბუდურებით გადმოაქვთ ახლომახლო სოფლებიდან. მერე უცბად აცივდა და ბევრი განიცდიდა უშეშობას იმ ვაჭატონების წყალობით, რომელთაც, როგორც თელავს პური და ნავთი შემოაკლდა, ისე ამათ—კიდევ თავში შემოჰკლებიათ...

1 ოქტომბერს თელავში შეიკრიბენ მთელი მაზრის მამასახლისები და ამორჩეული კაცები, რომელთაც მაზრის ექიმმა ბ-ნმა ცისკარაშვილმა ლექცია წაუკითხა ხოლერის შესახებ. ლექტორმა მდაბიურის ენით აუხსნა და უმთავრესი ყურადღება მიაქცია, სისუფთავეზე, რომელსაც, თუნდ, ხოლერა არა, ასე ძლიერ ჭსაჭიროობენ ჩვენი სოფლები. კარგი იყო აქაური სანიტარებიც დასწრობოდნენ, ვინაიდან თელავი უფრო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ვიდრე ზოგი სოფელი.

**დაგიწყებული.**

—

**ზემო ქართლი.** არა ჩვეულებრივი ამბები ხდება ზემო ქართლში. რეაქცია მძინვარებს, ძარცვა-გლეჯა არ ისპობა. ამას წინად სურამის მახლობლად სოფ. გვერდისუბანში ყაჩაღები დაეცნენ ერთს გლეხს და გაძარცვეს. წაართვეს ოცი თუმანი ფულად და ვერცხლის ქამარი. როგორც გამოირკვა, თავდამსხმელნი ძველი რაზმელები ყოფილან. ყოფილი წითელ რაზმელები, რომელთაც ახლა შავრაზმელებსაც გადაამეტეს და ხალხს უკიდურეს მდგომარეობაში აგდებენ. არა სჯერდებიან ძარცვა-გლეჯას და ახლა ქალებს გაუპატიურებასაც მიჰყვეს ხელი.

შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა ბორჯომის მახლობლად სოფელ ყვიბისში 27 სექტემბერს. ორი რაზმელი შეუვარდა ერთს გლეხს და იმისი ცოლი გააუპატიურა. ეს, რასაკვირელია, ქმარს არ მოუთმენია, მეზობლების დახმარებით ორივე საზიზღარი რაინდი კეტებით მოუკლავს და წყალში გადუგდია. ეს რომ დახოცილების ამხანაგებს გაუგიათ, გადაუწყვეტიათ შურის ძიება და შევარდნილან გლეხის ოჯახში, მაგრამ ოჯახის პატრონს დამალვა მოუსწრია და გადარჩენილა შურის-ძიებას. მაშინვე გაქცეულა ბორჯომში ბოქაულთან, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ ბოქაულის ფეხ-მარდობა, ჩამოსულა სოფელში, მაგრამ იქ ვეღარავინ უნახავს. მეორე დღესვე მთელს სოფელს დაუდგენია, რომ ის ყაჩაღები დაიჭირონ და გადასცეს პოლიციას. ბოქაულსაც იარაღი მიუცია სოფლისთვის და დასდევენ დასაჭერად. არ ვიცით, რა იქმნება. ეს კია, რომ ხუთი-ექვსი კაცი რას უზამს ორმოცამდის გაყაჩაღებულს.

**ვირელი.**

—

**თიანეთის მაზრა.** როგორც ვიცით, ჩვენი მაზრის მეზობლად სცხოვრობენ ქისტები, ჩაჩნები, ღილღველნი და სხვანი. ამათ შორის მრავლად არიან ქურდები და ყაჩაღები. თავ-გასულობას და ავაზაკობას საზღვარი არა აქვს. იტაცებენ დაუსჯელად ცხვარს, ძროხას, ცხენს მთიელებისას. თუ ვინიცობაა პატრონი წინ გადაუდობა და თავისი საქონელი მოითხოვა, სოფელს გამოასალმებენ. ბევრჯელ უსჩივლეს მთიელთ თავიანთი გაჭირვება, სადაც ჯერ იყო, მაგრამ შველა არსაიდან მოვიდა. ამ დღეებშიაც მოჰკლეს ქისტებმა სულ უმიზეზოდ ორი ფშაველი ს. ჩაფარში, მაგრამ მათი მკვლელები დღესაც თავისუფლად დადიან, ან კი რატომ არ ივლიან, როდესაც მოდავე-მდევნელი არავინა სჩანს; აბა პოლიტიკური დამნაშავენი იყვნენ?

თიანეთიდან ახმეტამდის საურმე გზაა. გზა ხალხის მიერ არის გაყვანილი. მაზრის უფროსად ნამყოფმა დუონტიევმა რამდენიმე ათასი თუმანი ჩააყარა ვიღაც მოიჯარადრეს, რომ გზაზედ დამტვრეული ქვა-შებიდი დაეყარნათ და შემდეგ ქვიშა დაყრიდი გაეზებინათ. შებიდის დაყრა „პირ-ნათლად“ აასრულეს, მაგრამ რაც შეეხება ქვიშის დაყრას და საზეკი მანქანის (კატოკი) გატარებას, ეს აინუნშიაც არ მოსდით. ამბობენ, რიგიანი გზა რომ გაგვიყვანოთ, ფული ბევრი დაგვეხარჯებაო. ან რად შეიწუხებენ თავს, როდესაც ხმის გამცემი არავინაა ჭყავთ! ამ დამტვრეულ ქვაზედ სიარული ურმისა და ცხენისთვის შეუძლებელი ხდება. გარდა იმისა, რომ საქონელს გზაზედ ფეხებზედ ტყავი სძვრება, თითო სულს ახმეტიდან თიანეთამდის ორ-სამ პირად უნდება ნალის გამოცვლა. ამ გზაზედ ტყუილ უბრალოდ დახარჯული ფული რომ სწავლა-განათლებას მოჰხმარებოდა, მთელი მაზრა სკოლებით მოიფინებოდა. ან არა და გაკეთებულიყო გზები იქ, სადაც საცალ-ფეხო ბილიკებიც კი არ ვარგა და გზის გაყვანა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც, მაგალითებრ, ფშავ-ხევსურეთში. მაგრამ როდის გამოუჩენიათ სიბრძნე და საქმეში ჩახედულობა, რომ ეხლა გამოეჩინათ.

**ფშავი.**

# რუსეთი

—:—

✦ **რევოლიუციის მუზეუმი.** პეტერბურგში მთავრობამ დააარსა რევოლიუციის მუზეუმი, სადაც აგროვებენ ყველაფერს, რასაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს რუსეთის ეხლანდელ რევოლიუციასთან. უკანასკნელ ხანებში მუზეუმს მდიდარი კოლექცია მიუმატა ვარშავის გენ.-გუბერნატორმა სკალონმა, რომელმაც შეაგროვა და გამოგზავნა მდიდარი პოლონეთში გამოსული სარევოლიუციო ლიტერატურა: პროკლამაციები, ბროშურები, გაზეთები და ხელთნაწერები. ასეთივე მასალები მოსდის მუზეუმს რუსეთის ყოველ კუთხიდან. ჯერჯერობით მუზეუმით დაკეტილია „უცხოთათვის“.

✦ **საინტერესო სტატისტიკა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო დრო გამოშვებით ბეჭდავს „საექიმო დახმარების სტატისტიკას რუსეთში“, სადაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია რიცხვი დაჭრილთა და მიკლულთა. 1904 წ. ტყვიით დაჭრილთა რიცხვი უდრიდა 30183, 1905 წელს კი 64310, ე. ი. ორჯერ იმატა. 1903 წ. სხვაგვარ იარაღით დაუჭრიათ 36031 კაცი, 1905 წელს კი 42542. უფრო საინტერესოა მოკლულთა სტატისტიკა რუსეთის ოთხ დიდ ქალაქში: პეტერბურგსა, მოსკოვსა, ვარშავასა და ადესაში. 1903 წ. ამ ქალაქებში 1000 მცხოვრებზე მოკლული იყო 29, 1904 წ.—31, ხოლო 1905 წ. 77. საინტერესოა კიდევ შემდეგი შედარებითი ცხრილი მოკლულთა ოთხ დიდ ქალაქში:

| | 1903 წ. | 1905 წ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი | 455 | 765 |
| მოსკოვი | 180 | 886 |
| ოდესა | 92 | 759 |
| ვარშავა | 101 | 562. |

ცხადია, რომ ამ სტატისტიკაში ძალიან დიდი შეცდომაა: 1905 წელს ოქტომბრის მანიფესტაციის გამოცხადების დროს მარტო ადესაში ხულიგანებმა—5000-მდე ებრაელი დასჭრეს და მოჰკლეს, ოფიციალურ სტატისტიკაში კი ნაჩვენებია მხოლოდ 759. ეს სტატისტიკა შედგენილია ექიმთა მოხსენებიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დაჭრილთა სამ-მეოთხედს ექიმები მალავდნენ, ან დაჭრილები ექიმებთან სულ არ მიდიოდნენ, მაშინ საერთო რიცხვი 1905 წლის რევოლიუციისა აღემატება 100000. ოფიციალურ ცნობებით კი ეს რიცხვი უდრის 40000-ს.

✦ **საერო განათლების ბიუჯეტი ფინლიანდიაში.** მომავალ წლისათვის მარტო საერო სკოლების შესანახად ფინლიანდიის სეიმმა გადადო $6^{1}/_{2}$ მილიონი მარკა, ე. ი. 3 მილიონ მანეთზე მეტი. მარტო სახალხო სკოლების ხარჯს ფინლიანდიაში თითო სული იხდის 1 მ. 25 კაპ., რუსეთში კი ყველა სასწავლებლის შენახვა თითო სულზე ჯდება 17 კაპეიკი.

✦ **მასწავლებლობის აკრძალვა** ვარშავის ობერ-პოლიცმეისტერს გამოუცხადებია: ვინც ნება დაურთველად მასწავლებლობას ეწევა, გადასახლებულ იქნება პოლონეთიდანო.

✦ **დეპუტატები.** მეორე სათათბიროს ს.-დ. დეპუტატებიდან გაპარულან ალექსინსკი, ჯუღელი, ზურაბიანი და 16 სხვა. ქართველ დეპუტატებიდან დაპატიმრებულნი არიან: კანდელაკი, მახარაძე, წერეთელი, ლომთათიძე, ჯაფარიძე და კაციაშვილი.

✦ **ლიტველ ქალთა კრების რეზოლიუციები.** კოვნოში ლიტველ ქალთა კრება გათავდა. გამოტანილ რეზოლიუციების შინაარსი ასეთია: 1) დაარსდეს ლიტველ ქალთა კავშირი იურიდიული და პოლიტიკურ თანასწორობის მოსაპოვებლად; ამ მიზნის მისაღწევად კავშირი შეუერთდეს სხვა ერების კავშირს; 2) დაარსდეს ქალთა პროფესიონალური კავშირი; 3) ქალთა ორგანიზაციებში მამაკაცებსაც მიეცეს შესვლის უფლება; 4) ლიტვურ სკოლებში მასწავლებლებად მხოლოდ ლიტველები, ან ლიტვურ ენის მცოდნენი უნდა იყვნენ; 5) ყოველნაირი ზომა იქნას მიღებულ ლიტვურ სკოლის გასამრავლებლად; 6) დაარსდეს სამასწავლებლო სემინარია. გარდა ამისა კრებამ გადასწყვიტა სათათბიროს პეტიცია გაუგზავნოს და სთხოვოს, რომ კანონით აკრძალულ იქმნას არყისა და სპირტის გაყიდვა.

# უცხოეთი

—:—

**დიდი დემონსტრაცია ჰუნგრეთში.** როგორც უკვე მოხსენებული გქონდა, 27 სექტემბერს დიდი მანიფესტაციები იყო ჰუნგრეთში საყოველთაო საარჩევნო უფლების სასარგებლოდ. დღეს რუსული გაზეთები უფრო დაწვრილებით ცნობებს გვატყობინებენ ამ მანიფესტაციების შესახებ.

დემონსტრაციების ინიციატივა და ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა სოციალისტურ პარტიას, რომელიც დიდის ენერგიით მოქმედებდა და მთელი მანიფესტაცია, არა სოციალისტურ [illegible] ტყვითაც, დიდებული რამ [illegible].

„ყველა სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი, მათ შორის სასტუმროები და ყავახანები, მთელი დღე დაკეტილი იყვნენ. უკვე დილის მეცხრე საათზე დაწყო დენა ხალხმა დანიშნულ ადგილებისაკენ (ამისთანა ადგილი 10 იყო). ცხრა საათისათვის ხალხი უკვე დარაზმული იყო პროცესიის დასაწყებად და ათის ნახევარზე დაიძრა კიდევაც. წინ მიდიოდნენ ცხენოსანი პოლიციელები, მათ მიჰყვებოდა უამრავი ხალხი, რომელიც ზღვას მიემსგავსებოდა; ამ ზღვა ხალხის თავზე ურიცხვი დროშა ფრიალებდა სხვა და სხვა წარწერებით. მუშების ორგანიზაციებს თან ჰყავდათ თავიანთი ორკესტრები, რომელნიც ხან ერთად და ხან მორიგეობით უკრავდნენ შესაფერ ჰიმნებს.

პროცესსია განსაცვიფრებელის წესიერებით სწარმოებდა; არსად წესიერება არ დარღვეულა. ხალხის ძლიერი ძახილი—გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებასა, ძალა-უნებურად იზიდავდა მხოლოდ ცნობის მოყვარეობით გამოსულთაც, იზიდავდა ძალა-უნებურად და ხალხის ზღვაც უფრო და უფრო იზრდებოდა. დაახლოვებით მანიფესტაციაში სულ უკანასკნელი 200 ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. ბევრი იყო ქალიც ბავშვებით.

მანიფესტანტები პარლამენტთან არ მიუშვეს. ეს წინდაწინვე იცოდნენ მანიფესტაციის ხელმძღვანელებმა და ამიტომ წინდაწინვე დეპუტაცია იყო არჩეული და პეტიცია შედგენილი. ეს დეპუტაცია (ერთი ქალიც ერია) მიიღო პარლამენტის თავმჯდომარემ იუსტმა დილის 11 საათზე. დეპუტაციის წევრნი სასტიკად ჰკიცხავდნენ მთავრობასა და პარლამენტს ხალხის კანონიერ სურვილის შეუსრულებლობის გამო. იუსტმა თავის მხრივ პროტესტი გამოაცხადა ამ გაკიცხვის გამო და კამათი ისე გამწვავდა, რომ იუსტი აღარ აპირებდა პეტიციის მიღებას. ბოლოს, როგორც იქნა, პეტიცია მიიღო იუსტმა პარლამენტის გადასაცემად„.

დიდებულმა მანიფესტაციამ დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. გარდა ბუდაპეშტისა მთელ ჰუნგრეთში იყო გამართული მზგავსი მანიფესტაციები. ყველგან შეწყვეტილი იყო ყოველგვარი მუშაობა და ვაჭრობა. თითონ საქმის პატრონებიც ანთავისუფლებდნენ მუშებს, რომ მონაწილეობა მიეღოთ პროცესიაში.

---

—საქმეც ეგ არის, და! ხვალ არ შეიძლება, პარასკევია—საქონელი უნდა დავკლა.

სიმამრმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად: მართალია, ხვალ არ შეიძლება.

— ხვალ არასგზით არ შეიძლება.

— შაბათს ბაზარია.

— მართალია, ეგეც მართალია.

— ხორცს ხომ არ დავალპობ! ერთ კვირაში სულ აყროლდება!

— რასაკვირველია! მაგას რა ლაპარაკი უნდა!

— აი დასწყევლა ღმერთმა! ე რა ცუდ დღეში ჩავარდი!

გაჩუმდნენ. პუავრემ ჯერ იფიქრა და მერე ყურჩით სიძეს:

— აი რას გეტყვი, შვილო. შვილიც ხომ მალე ამიყროლდება!

— მაშ! მაშ!

— შენ ხორცზედაც რომ გადავიდეს? ჰა, რას იტყვი!

— ეგ არი, და აბა რა ვქნა? ერთი, მითხარი, შენი ჭირიმე, ეხლა მე რა უნდა ვუყო?

პუავრე ნიკაპზე ხელს ისვამდა და ისევ ფიქრობდა. მერე უცებ ჩაიქნია ხელი და მოსჭრა:

— მოდი ერთი ბოთლი კიდევ დავლიოთ.

**ა.**

# მარსელიეზა

ლეონიდ ანდრეევისა

იგი არარაობას წარმოადგენდა: სული კურდღლისა ჰქონდა, ხოლო მოთმენა მუშა საქონლისა. როდესაც ბედის-წერამ იგი დაცინვითა და სიბოროტით ჩვენს წრეში გადმოსტყორცნა, ჩვენ გიჟებივით ვიცინოდით: ხომ არის ხოლმე ასეთი სასაცილო, ასეთი უმართებულო შეცდომა! ის კი, ის, რასაკვირველია, სტიროდა. მე ჩემს სიცოცხლეში არ შევხვედრივარ ისეთ ადამიანს, რომელსაც ამდენი ცრემლები ჰქონოდეს და ეს ცრემლები ასე უხვად გადმოსკდომოდეს—თვალებიდან, ცხვირიდან, პირიდან. კაცს ეგონებოდა, წყლით გაჟღენთილი ღრუბელია, რომლისთვისაც ხელი მოუჭერიათო. ჩვენ შორისაც მინახავს მომტირალი მამაკაცები, მაგრამ მათი ცრემლები წარმოადგენდა ცეცხლს, რომელსაც გარეული მხეცები გაურბოდნენ. ამ ვაჟკაცურ ცრემლებისაგან მათ სახე უბებრდებოდათ და თვალები უახალგაზრდავდებოდათ: როგორც დედამიწის გახურებულ გულიდან ამონახეთქი ნაცარ-ტუტა, ისე ამოსწვავდა ხოლმე ეს ცრემლი წარუხოცელ კვლებს და თავის შიგან მარხავდა არარა სურვილების მთელ ქალაქებს და ქუცმაც, უმნიშვნელო ზრუნვებს. იმას კი, როდესაც იგი ტირილს მოჰყვებოდა, მხოლოდ ცხვირი უწითლდებოდა და ხელსახოცი უსველდებოდა. უეჭველია ხელსახოცებს მალ-მალ აშრობდა, თორემ სად მოაგროვებდა იმდენ ხელსახოცებს?

რაც კი ჩვენთან გამოდევნეს, ცისმარე დღე უფროსებთან დაეხეტებოდა, ყველა უფროსებთან, რომელნიც კი არსებობდნენ და რომელთა მოგონებაც მას შეეძლო, სალამს აძლევდა, ტიროდა, ეფიცებოდა თავის უდანაშაულობას, ევედრებოდა შეებრალებინათ მისი ახალგაზრდობა, ჰპირდებოდა მთელ თავის სიცოცხლეში—ისე პირი არ გაეღო, თუ არ თხოვნისა და დიდებისათვის. მაგრამ ისინიც ჩვენსავით დასცინოდნენ, „პატარა უბედურ ღორს“ ეძახდნენ და უყვიროდნენ:

— შენ, ეი, პატარა ღორო!

ისიც, რასაკვირველია, მორჩილად გარბოდა ამ ძახილზე: ფიქრობდა—სამშობლოში დაბრუნებაზე რამეს მეტყვიანო, მაგრამ მხოლოდ მათი მასხარობა შერჩებოდა ხოლმე ხელში. თუმცა იმათ ჩვენსავით კარგად იცოდნენ, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ იმის წვალებით სხვა პატარა ღორების დაშინებას ჰფიქრობდნენ—თითქოს უამისოდაც საკმაოდ დაშინებული არ ყოფილიყვნენ!

ჩვენთანაც მოდიოდა. მაგრამ ჩვენი სახე სიმძაფრითა და მდუმარებით შეჰხვდებოდა ხოლმე და მოსული იმის გასაღებს ამაოდ ეძებდა. ეს გარემოება დავთრებს უნწევდა და საყვარელ ამხანაგებსა და მეგობრებს გვეძახდა, ჩვენ კი თავებს ვაქნევდით და ვეუბნებოდით:

— ფრთხილად: შენს ლაპარაკს ყურს მოჰკრავენ!

ისიც, ის პატარა ღორი, თავის თავს მაშინათვე ნებას აძლევდა—კარებისათვის დაეწყო ცქერა. ამაზე, რასაკვირველია, ვიცინოდით სიცილს გადაჩვეულის ხმებით, ხოლო ის, გამხნევებული და დამშვიდებული, ახლოს მოგვიჯდებოდა, დაგვიწყებდა ბაასს. თანაც სტიროდა თავის საყვარელ წიგნებზედ, რომელიც სტოლზე დარჩენოდა, დედასა და ძმებზე, რომელთა შესახებაც არ იცოდა—კიდევ ცოცხლები არიან თუ შიშისა და დარდისაგან უკვე დაიხოცნენ. ბოლოს ჩვენის წრიდან ვაგდებდით.

როდესაც შიმშილობა დაიწყო, იგი შიშის ზარმა მოიცვა—სასაცილო შიშის ზარმა. იმას ხომ, საწყალ ღორს, ჭამა ძალიან უყვარდა, მაგრამ საყვარელ ამხანაგებისაც ძალიან ეშინოდა, ეშინოდა აგრეთვე უფროსებისაც: გზა-კვალ დაკარგულსავით დადიოდა ჩვენ შორის და შუბლს ხშირად იწმენდდა ხელსახოცით, რომელსაც რაღაცა გამოეჟონა—არ ვიცი, ცრემლი თუ ოფლი. მოვიდა და გაუბედავად დამეკითხა:

— დიდ ხანს იქნებით მშიერი?

— დიდ ხანს!—მკვახეთ ვუპასუხე.

— მერე, ჩუმად არაფერს შესჭამთ ხოლმე?

— დედები ნაზუქებს გამოგვიგზავნიან, —სერიოზულად დავეთანხმე.

იმან ურწმუნოდ შემომხედა, თავი გაიქნია და, რა ამოიოხრა, წავიდა. მეორე დღეს კი, შიშისაგან გამწვანებულმა, თუთიყუშსავით განაცხადა:

— საყვარელო ამხანაგებო! თქვენთან ერთად მეც განვაცხადებ შიმშილს. მაგრამ საერთო პასუხი ასეთი იყო: „მარტოკამ განაცხადეო“. ისიც იმშილდა. ჩვენ კი არა გვჯეროდა; ვფიქრობდით, ჩუმად რამესა სჭამსო. ამასვე ჰფიქრობდნენ ზედამხედველნიც.

ბოლოს, როდესაც სიმშილისაგან სახადით გახდა ავად, ჩვენ მხოლოდ მხრები შევიშმუშნეთ: საწყალი პატარა ღორი! მაგრამ ერთმა ჩვენგანმა, რომელიც თავის დღეში არ იცინოდა, მწუხარე კილოთი გვითხრა:

— ის ჩვენი ამხანაგია. წავიდეთ იმასთან!

მომაკვდავი ბოდავდა; ეს შეუსაბამო ბოდვა ისეთივე სასაცილო იყო, როგორიც მთელი მისი ცხოვრება. იგი თავის საყვარელ წიგნებსა, დედასა და ძმებზე ლაპარაკობდა. თხოულობდა გემრიელ ნაზუქებს, ფიცულობდა, რომ უდანაშაულო ვარო, და პატიებას ითხოვდა. სამშობლოსაც ეძახდა, ეძახდა საყვარელ საფრანგეთს,—ოჰ, დაწყევლილ იყავ სუსტო გულო ადამიანისავ! იგი სულს აღშფოთებდა ამ ძახილით: საყვარელო საფრანგეთო!

ჩვენ ყველანი „პალატაში“ ვიყავით თავმოყრილნი, როდესაც იგი კვდებოდა. სიკვდილის პირას ცნობიერება შემოეკრიბა. პატარა და სუსტი ჩუმად იწვა; ჩუმად ვიდექით ჩვენც, მისი ამხანაგები. ყველამ, ყველამ კარგად გავიგეთ მისი სიტყვები:

— როდესაც მოვკვდე, ჩემზე „მარსელიეზა“ იმღერეთ.

— რას ამბობ!—სიხარულით აკანკალებულებმა და ჯავრისაგან აღშფოთებულებმა წამოვიყვირეთ.

იმან ხელ-ახლა გაგვიმეორა:

— როდესაც მოვკვდე, მარსელიეზა იმღერეთ.

პირველი იყო ისეთი წამი, როდესაც მას ცრემლები შეაშრა, ჩვენ-კი, ჩვენ ვტიროდით, ვტიროდით ყველანი და როგორც ცეცხლი, რომლისაგანაც გარეული მხეცები გარბიან, ისე ელვარებდა ჩვენი ცრემლი.

მოკვდა... ჩვენ მარსელიეზას ვმღეროდით. ახალგაზრდა და ღონიერის ხმებით ვმღეროდით თავისუფლების სიმღერას, ოკეანეც მრისხანედ ბანს გვაძლევდა და თავის ზვირთების გრეხილებით საყვარელ საფრანგეთში მიაქანებდა ფერ-მკრთალ საშინელებასაც და მოსისხლ-მოწითალო სასოებასაც. ის სამუდამოდ ჩვენ დროშად გადაიქცა—ის არარაობა, კურდღლისა და მუშა საქონლის სხეულით, ხოლო ადამიანის დიადის სულით. ამხანაგებო და მეგობრებო, მუხლი მოიყარეთ გმირის წინაშე!

ჩვენა ვმღეროდით. აქეთ-იქიდან თოფები შემოგვცქეროდნენ და მათ კლიტეებს ბოროტის მომასწავებლად ჩხრიალი გაჰქონდა, ხოლო ხიშტების შხამიანი წვერები მუქარით ჩვენს გულებს დასცქეროდნენ. მრისხანე სიმღერას უფრო და უფრო მაღლა, უფრო სიხარულით გაჰქონდა წკრიალი, ხოლო მებრძოლთა ნაზ ხელში შავი კუბო ნელა ირხეოდა.

ჩვენ ვმღეროდით მარსელიეზას!

**დ. ელიაშვილი.**

ექვს გარეშეაო, სწერენ გაზეთები, ჰუნგრეთის მთავრობა უთუოდ გაუწევს ანგარიშს ამ ფაქტს და ახლო მომავალში საარჩევნო წესის რეფორმა აუცილებელი არისო.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## რ უ ს ე თ შ ი.

6 ოქტომბერი.

**ოდესა.** გენერალ-გუბერნატორის მონაწილეობით მოხდა კრება ბანკების, სანადოსნო საზოგადოებათა, პურის მრეწველთა და მაღაზიების პატრონთა წარმომადგენლებისა. მსჯელობა იქონიეს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღონ ქალაქში მშვიდობიანობის დასამყარებლად. საჭიროდ სცნეს გააუქმონ დღიურ და ღამის დარაჯების ინსტიტუტი და მათ მაგივრად პოლიციელთა რიცხვი გაადიდონ. საჭირო ფული უკვე მრეწველებმა ურთიერთ შორის მოაგროვეს.

**მირგოროდი.** საერობო კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას (სანამ შესაწევარ ფულის კრეფა არ შეწყვეტილა) გოგოლის სახელობაზე განზრახული სამხატვრო-სამრეწველო სკოლა გიმნაზიად შესცვალონ.

**ვარშავა.** სადგურ მალკინზე შეამჩნიეს, რომ შეპეტოვკიდან ვარშავაში მიმავალი გრაფის ადამ ზამოისკის ცოლი კუპეში არ იყო. ნივთები არ დაკარგულა. კუპეში არეულ-დარეულობა ამტკიცებს, რომ ბოროტ-მოქმედება მომხდარა. გრაფინიას გვამი ლიანდაგის ახლო ვერსად ვერ იპოვნეს.

**გროდნო.** საღამოს 6 საათზე მძარცველთა ბრბო ვიღაც მილიციის პრაპორშჩიკის ფორმაში გამოწყობილის მეთაურობით დაეცა გოლშტეინის ოქრო-ვერცხლეულობის მაღაზიას. ხალხი სროლით დააშინეს. მაღაზია გაძარცვეს და გაიქცნენ. სროლის დროს ფოსტის მახლობლად მოჰკლეს ერთი ფოსტალიონი.

7 ოქტომბერი.

**ნოვოჩერკასკი.** 5 ოქტომბერს დიდის ამბით გაიხსნა საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი. დაესწრო ჯარის ატამანი და ვაჭრობის სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების გამგე ლაგორიო. პარაკლისს დაესწრნენ პროფესორები, მსმენელები და საპატიო სტუმრები.

**ომსკი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 1 კაცი, არავინ არ მომკვდარა. მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**პეტერბურგი.** 4 ოქტომბრის სხდომაზე მინისტრთა საბჭომ სათანადოდ სცნო წარედგინოს ხელმწიფეს დასამტკიცებლად, რომ ქალაქ ახალ მარგელანს ამიერიდან ეწოდოს სკობელევი.

არა პირდაპირ გარდასახადთა მთავარ გამგეობაში აპირობენ მიიწვიონ საერთო უწყებო სათათბირო, ამ სათათბიროში უნდა გაარჩიონ საკითხი ყურძნის ღვინის გაყიდვის შესახებ საარყე დუქნებში საკომისიოდ.

**მოსკოვი,** ოქტომბრისტების ცენტრალურ კომიტეტის კრება გათავდა. კრებაზე უარჰყვეს კადეტებთან შეთანხმება.

**სარატოვი.** ატკარისა და სერდობის მაზრებში შეიარაღებულ თავ-დასხმის ჩადენისათვის დააპატიმრეს 50-მდე კაცი, მათ შორის მემამულე ქალის აგრინსკაიას ქალიშვილი.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის სადგ. პლეტნი ტაშლიკზე შეიარაღებულებმა მოიტაცეს 1351 მანეთი ფული, გამოიტანეს სად. უფროსის ოთახიდან.

**სამარა.** 4 ოქტომბერს დილის ცხრა საათზე სადგ, ბეზენჩუკის მახლობლად დაეცნენ ფოსტას. ფოსტალიონი დასჭრეს, მეეტლე შეჰკრეს. წაიღეს 30,394 მანეთი.

**ეკატერინოსლავი.** სად. გრიშინოსთან 6 კაცი დაეცა ძმ. ზუსმანოვებს. მათ მიჰყვებოდნენ მათი წისქვილისმეიჯარადრის ნოქარი და დარაჯები. ერთი ზუსმანოვი მოჰკლეს. ფულის წაღება ვერ მოახერხეს.

**ვარშავა.** ტვერდოის ქუჩაზე ებრაელი ტილლერი შევიდა ხილის დუქანში. მას თან შეჰყვა რამდენიმე კაცი. ებრაელი იქვე მოჰკლეს. მკვლელობა პარტიულ ნიადაგზე მომხდარა.

**უმანი.** ლადიჟენკაში მომხდარ არეულობისა გამო პასუხის გებაში მისცეს რამდენიმე კაცი, მათ შორის სათათათბიროს წევრად ნამყოფი კუჩერენკო.

**ვარშავა.** 4 ოქტომბერს „ნოვი სვეტში" სმაევსკის სახლში ორი მძარცვი შევიდა. სახლის პატრონი მაგრა დაუხვდა. მძარცვავები გაიქცნენ და თან სროლა ასტეხეს. უცაბედად დაიჭრა ერთი ქალიშვილი. პოლიციელები გარს შემოერტყენ მძარცვაცებს. ერთმა მათგანმა თავი მოიკლა, მეორე გაიქცა.

**კრასნოიარსკი.** ქალაქში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი, კანსკის მაზრაში 2.

**ცობოლსკი.** გუბერნიაში ხოლერამ თავი იჩინა 16 ალაგას. სულ ავად გახდა 67, გარდაიცვალა 28, მორჩა 6 კაცი.

**ტომსკი.** ნოვონიკალაევსკში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 14. ბარნაულში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. ბიისკის მაზრაში ავად გახდა 10, ზმეიგოროდსკის მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2.

**პენზა.** ინსარის მაზრის სოფ. ტოკმოვაში ავად გახდა 3 და ნაროვჩატსკის მაზრაში 2 კაცი.

**კიევი.** ხოლერით ავად გახდა 79. გარდაიცვალა 24, მორჩა 20. ავადმყოფთა შორის 3 ჯარის კაცია და 3 ტუსაღი.

## ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.

**პეტერბურგი.** ევროპის რუსეთის 51 გუბერნიაში 5 ოქტომბრამდე 1113 ასარჩევ ამომრჩეველთაგან გლეხებს აურჩევიათ 985 კაცი, იმათგან 12 რუსთა კავშირის წევრია, 4 ბესარაბიის ცენტრალურ პარტიისა, 1 ოქტომბრისტების თანამოაზრე, 9 ოკტომბრისტის მშვიდობიან განახლების პარტიისა, 8 კადეტების თანამოაზრე, 21 კადეტი, 1 სახალხო სოციალისტი, 7 შრომის ჯგუფი, 6 ს.-დემოკრატი, 7 ს.-რევოლიუციონერი, 1 გლეხთა კავშირისა, 3 ესტონელთა ნაციონალურ პროგრესიულ პარტიისა, 1 ლატიში კონსტიტუციონალისტი, 3 ლატიში რეფორმისტი, 5 ლატიში ნაციონალისტი, 9 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 7 მონარქისტი, 281 მემარჯვენე, 66 ზომიერი, 12 უკიდურესი მემარცხენე, 131 მემარცხენეთა თანამოაზრე, 32 პროგრესისტი, 252 უპარტიო, 41 უცნობი.

## უ ც ხ ო ე თ შ ი.

6 ოქტომბერი.

**თეირანი.** კერმანის გუბერნატორი გუსრეტ-ედ-დოულე (პრინცი ფერმანა ფერმას შვილი) დეპეშით იუწყება, უკუაქციეთ ბრბო, რომელმაც ქალაქის თავდასხმა მოინდომაო. საპროვინციო საბჭოების არჩევნების დროს უწესოება მოხდა. ნაძირალთ მოინდომეს ესარგებლნათ არსებულ მდგომარეობით. ზოგნი სახელმწიფო ბანკის განყოფილებას დაეცნენ.

**ჰააგა.** 5 ოქტომბერს სამშვიდობო კონფერენცია დაიხურება. საღამოზე აქტებს ხელს მოაწერენ და კვირა და ორშაბათს თითქმის ყველა დელეგატები ჰააგიდან გავლენ.

7 ოქტომბერი.

**დუნბარი.** დანიის გემი «ალფერდ დერბანცენი" ლიბავიდან გრენუმოტში მიდიოდა. სტებსის კონცხთან ქვას დაეჯახა და დაიმტვრა. ამბობენ, რომ ყველა მეზღვაური (20 კაცი) დაიღუპაო.

**ვინეცია.** ხშირი წვიმების გამო მდინარეები ადიდე, ბრენტა და პიავე მძლიერ ადიდდნენ. ბევრგან მთიდან ზვავი ჩამოწვა და გზები გააფუჭა. ზოგიერთი სოფლები წყალმა დაჰფარა, სხვათა შორის სოფ. კაპრილე, სადაც სახლებიც ჩამოინგრა. ავდარი ეხლაც არის.

**მილანი.** ლაგო მადჯორეში წყალი უფრო ადიდდა, ვიდრე 1872 წლის წყალ-დიდობის დროს იყო. ქალაქის რამდენიმე უბანი წყალმა დაჭფარა.

**ლონდონი.** შუაგულ და ჩრდილოეთ ინგლისში წყალდიდობისა გამო ბევრგან სახლები წყალმა დაჰფარა. ნათესს დიდი ზარალი მიაყენა, ბევრი შინაური საქონელი დაიხრჩო. რამდენიმე სოფელს წყალი აქვს გარშემორტყმული.

**სეული.** კორეის იმპერატორმა იაპონიის მემკვიდრეს სადილი გაუმართა. იაპონიის პრინცის მიერ გამართულ სადილზე კორეის მემკვიდრე პრინცი დაესწრო. კორეის პრინცი იაპონიაში აპირობს წასვლას სწავლის მისაღებად.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ავალიშვილი.

# გამოსადეგი ცნობანი

## მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

### ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

### ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნ დ ო ბ ა მ"

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც მოიპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ბოებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდაღოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი.

(20—6.—17)

მასწავლებელთა საყურადღებოთ!

ქართული წერის დედანი

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახმარებელი

რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.

„არითმეთიკული კრებული"

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა" (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე.

(20—3)

წიგნის მაღაზია

„გუტენბერგი"

ტფილისში, შტაბის ქ. № 2.

მივიღეთ ყოველნაირი სახელმძღვანელო რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე და სხვა და სხვა წიგნი მოზრდილთათვის და პატარა ბავშვებისთვის. წიგნების გაგზავნა ფას-დადებით. დაკვეთილ საქმე ვასრულებთ სწრაფად და სუფთად. თუ დაკვეთილ საქონლის ფასი 3 მან. აღემატება, საჭიროა ბე.

(3—344—2)



1—2 მან. აილებს მსურველი დღეში.

საჭიროა

თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верiйскiй спускъ д 15 и 5.

(100—71—68)

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «ამბოხება კახეთისა», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . . 1 მ.
2. «საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია», ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «ქართლის ცხოვრება», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «საბერძნეთის ძველი ისტორია». ნორმანსა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «რომაელების ძველი ისტორია», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «ფიზიკური გეოგრაფია», ს. იამვალისა . . . . . . . . . . . 20 კ.
7. «მასალების საქართველოს ისტორიისათვის», . . . . . . . . . 1 მ.
8. «საქართველოს ისტორია», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . 1 მ.
9. «მთიულეთი», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. «ცისარტყელა», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузiи и древней Арменiй», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

ნამდვილი კახური ღვინო

ს ა ო ჯ ა ხ ო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

„Дзмоба" „ძმობა"

ამხანაგობა

ВЪ ТИФЛИСЪ

ТЕЛЕФОНЪ № 1036.

Головинскiй проспектъ д. [illegible]

საუკეთესო ვენახებიდან

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.

(100—99)

პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის!




კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას",

რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ზეჰქუს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის გაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა'

ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება ფეხსაცმელი პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა.

(100—70)